ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

18 აპრილი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 70 (10488) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის განცხადება

1991 წლის 9 აპრილის ისტორიულმა აქტმა, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, გამოხატა რა ქართველი ხალხის ნება, აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ქართული სპორტი ცალსახად დააყენა იმ გზაზე, რომლისკენაც მას თავისი შექმნის დღიდან მოუწოდებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. რაოდენ დასანანია, რომ დაიკარგა ეხოდენ ძვირფასი დრო, ვერ მოხერხდა სწორი ორიენტაციის აღება, ფაქტობრივად მოუმზადებელი ვხვდებით ამ ისტორიულ მომენტს და ის, რისი გაკეთებაც თვეების წინ ნაბიჯ-ნაბიჯ და შედარებით უმტკივნეულოდ შეიძლებოდა, დღეს ერთბაშად და მაქსიმალური ძალისხმევით არის გასაკეთებელი. ჩვენი არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, წლობით ჩამოყალიბებული სტერეოტიპული აზროვნების და ძველი ინერციის გამო საქართველოს სპორტული ფედერაციები, თითო-ოროლა სახიამოვნო გამონაკლისის გარდა, არ ჩქარობდნენ რადიკალური ნაბიჯების გადადგმას, ცენტრისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას, შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებში გაწევრიანებისათვის გზების ძიებას. მოვლენათა განვითარებამ უკვე დაადასტურა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ არჩეული გზის სიხწორე და უტყუარობა, მაგრამ დღეს არც ამით თავის მოწონების დროა და არც ნიშნის მოგებისა. მით უმეტეს, რომ ქვეყნის რეალურ დამოუკიდებლობამდე კიდევ საკმაო გზაა და იგი ქართულმა სპორტმაც უნდა გაიაროს, რისთვისაც ერთობლივად მოგვიწევს ბრძოლა ყველას — მათაც, ვინც დღემდეც ამ გზას ადგა და მათაც, ვინც მხოლოდ დღეს აიღო ეს გეზი.

კარხაა მომდგარი 1992 წლის ოლიმპიური თამაშები ბარსელონაში. დრო აღარ ითმენს. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი მოუწოდებს ჩვენი ქვეყნის ყველა სპორტსმენს, მწვრთნელს, სპორტის მუშაკს, მოუწოდებს ოლიმპიურ ჩემპიონებს, აქტიურად იღვაწონ ქართული სპორტის შეუფერხებელი განვითარებისათვის. ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ქართული სპორტი არათუ იზოლაციაში აღმოჩნდეს, როგორც ამას გვემუქრებიან საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი, არამედ პირიქით — უფრო ფართო ასპარეზზე გავიდეს, საერთაშორისო აღიარება მოიპოვოს და — როგორც უახლოესი და უმთავრესი მიზანი — თავისი სიტყვა თქვას 1992 წლის ოლიმპიადაზე.

ქართული სპორტის მომავალი ჩვენს ერთსულოვნებაშია.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი.

ქართული ხალხური თამაშები და სპორტის ეროვნული სახეობები ჩვენი საუნჯეა. ახლა დრო დადგა, ეს საუკუნეობრივი მონაპოვარი ხალხის ფიზიკური გაჯანსაღებისა და სულიერი მხნეობის სამსახურში ჩავაყენოთ!







ფოთი ემზადება...

ფოთი ემზადება წყალსათხილამურო სპორტში ევროპის 1991 წლის ჩემპიონატის ჩასატარებლად. ამ ცნობამ იმთავითვე გაგვახარა და ახლა ეს სიხარული გაათკეცდა, რადგან ჩემპიონატს დამოუკიდებელი საქართველო უმასპინძლებს.

ჩემპიონატისადმი ჩვენი ეროვნული მთავრობის შეუნელებელი ყურადღება იძლევა იმის გარანტიას, რომ შემჭიდროებულ ვადებში შეუძლებელს შევძლებთ, ასპარეზობას ღირსეულად ვუმასპინძლებთ.

გუშინწინ ფოთში ჩავიდა სამთავრობო ჯგუფი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბატონ თენგიზ სიგუას ხელმძღვანელობით. ჯგუფში იყვნენ აგრეთვე ჩემპიონატისათვის მზადების ხელმძღვანელობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები. სტუმრებმა მოინახულეს ახალშენებლობები, რის შემდეგაც გაიმართა თათბირი.

ორგკომიტეტის გამსვლელ სხდომას უძღვებოდა მისი თავმჯდომარე ბატონი თ. სიგუა.

გაწეულ საქმიანობაზე და პრობლემებზე ილაპარაკა სამთავრობო საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გურამ დოლბაიამ. თათბირს ესწრებოდნენ იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ცალკეული სამუშაოების ჩატარება. ისინი თათბირის მსვლელობის პროცესში განმარტებას იძლეოდნენ ყველა წამოჭრილ საკითხზე.

თათბირზე პირდაპირ დაასახელეს ის ობიექტები, სადაც სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოები ჭიანურდება. მაგალითად, ითქვა, რომ გეოლოგების კორპუსის რეკონსტრუქცია დროულად დამთავრდება, თუ საჭირო მასალებით უზრუნველყოფენ. აეროპორტის ბილიკებიც თავის დროზე იქნება მზად, მაგრამ თვით შენობის საკითხია საეჭვო. მალთაყვაში 54-ბინიანი სახლი დასრულდება იმ შემთხვევაში, თუ „ფოთმშენი“ კასკადებს დროულად დაამონტაჟებს.

სხვა სამუშაოები, რომელთა ნუსხა ძალზე ვრცელია, შეუფერხებლად მიმდინარეობს.

სხდომის შედეგები შეაჯამა ბატონმა თენგიზ სიგუამ.

„ლელოს“ კორ.

ფოთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფთბოლი

ახალიც, მსგავსიც...

კეტბურთმა საქართველოში „გამოჩენისთანავე“ მოიპოვა პოპულარობა და აღიარება ახალგაზრდებს შორის და მოკლე ხანში ორი გუნდიც შეიქმნა — „ივერია“ და „მერანი“. დასაწყისიდან, ცხადია, იოლი გზა არ გაუვლია სპორტის ამ ლამაზ სახეობას ჩვენში, მაგრამ, მონდომება, მოგეხსენებათ, ბევრს შეაძლებინებს კაცს.

ფიზკულტურის ინსტიტუტის მოასფალტებულ მოედანთან დუის საათებში გამვლელები ჩერდებიან და გაკვირვებით უყურებენ სპორტის უცნობ სახეობაში მოვარჯიშე გოგოებს... ზოგი კეტბურთს ამსგავსებს, ზოგი რას...

სოფთბოლი — სპორტის ეს სახეობა მსოფლიოს ასამდე ქვეყანაშია განვითარებული და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. კეტბურთისგან განსხვავებით, მას ქალებიც თამაშობენ და 1965 წლიდან მოყოლებული მსოფლიო ჩემპიონატებიც იმართება ქალთა გუნდებს შორის.

ვარჯიშზე ვეწვიეთ საქართველოში ახალჩამოყალიბებულ სოფთბოლის გუნდის წევრებს და ვესაუბრეთ მათ მწვრთნელს გია ქემოკლიძეს.

● როდის დაგებადათ იდეა, ჩამოგეყალიბებინათ სოფთბოლის გუნდი საქართველოში?

— კარგა ხანია, მაგრამ ბაზებისა და სპორტული ინვენტარის უქონლობა გვაბრკოლებდა. რეალურად კი მაშინ გადავწყვიტეთ შეგვექმნა გუნდი, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ატლანტის ოლიმპიური თამაშების მასპინძლებს სურვილი აქვთ სპორტის ეს სახეობა ჩართონ 1996 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

ვიშოვეთ ოცი ხელთათმანი, ათიოდე ბურთი... ვიცოდი, რომ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში სწავლობენ სპორტსმენები, რომლებიც ჩამოშორდნენ აქტიურ სპორტს. წავხედი ზოგიერთ მათგანს, ვესაუბრე. ისინიც დაინტერესდნენ და გამოთქვეს სურვილი მოესინჯათ ძალა სპორტის ამ ახალ სახეობაში და უკვე ერთი თვეა ვვარჯიშობთ.

● როგორია თქვენი გუნდის შემადგენლობა, რა მიზნებს ისახავთ მომავლისთვის?

— ამ შემადგენლობით და ახლა ჩვენ მიზნად არ ვისახავთ მაღალი მწვერვალების დაპყრობას, მაგრამ სწორედ მათ, ვინც ეუფლება სოფთბოლს, მომავალში თავად უნდა იტვირთონ ახალგაზრდებისა თუ ბავშვების მომზადების სიძნელეები. გუნდში სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები არიან: მძლეოსნები, ფრენბურთელები, კალათბურთელი, მოფარიკავე... თავიდან ოცმა გოგომ დაიწყო ვარჯიში და უკმაყოფილო ჯერ არავინაა. მესამე ვარჯიში, მაგალითად, მთელი ხუთი საათი გაგრძელდა. ამას თავისებური ახსნაც აქვს. ჩემი აზრით, ეს თამაში სრულიად ესადაგება ქართულ ხასიათს. „დინამიურ ჭადრაკსაც“ ვეძახით, რადგან თამაშის დროს პირველ ყოვლისა, მოთამაშის აზროვნებას ენიჭება უპირატესობა.

● კეტბურთთან მსგავსება დიდია, მაგრამ მაინც რით განსხვავდება სოფთბოლი მისგან?

— კეტბურთისგან განსხვავებით მოედნის ზომები შემცირებულია. სოფთბოლის მოედანი თავისუფლად ეტევა ფეხბურთის მოედანი, ამასთან, ბურთის წონა და მოცულობა დიდია. რამდენადაც ვიცი, საქართველოში რვაასამდე ფეხბურთის მოედანია. აქედან ერთი მაინც რომ გამოგვიყონ, კარგი იქნება.

● ფინანსური სახსრების გარეშე დღეს ძნელია ფიქრი გუნდის ჩამოყალიბება-შენახვაზე. თქვენ როგორ გაქვთ საქმე, გეხმარებათ ვინმე?

— რა თქმა უნდა. ჩვენ ძირითადად სპონსორების მხარდაჭერის იმედი გვაქვს. ძალზე ვემადლიერებით ავტოვაზტექმომსახურების რესპუბლიკურ გაერთიანებასა და კოოპერატივ „ხარჩოს“, რომლებიც ყველაზარად გვიდგანან მხარში. გუნდის ჩამოყალიბებაში დაგვეხმარა „ივერიის“ კეტბურთელთა კლუბის დირექტორი გელა ჩიხრაძე.

● როგორ გესახებათ საქართველოში სოფთბოლის განვითარება, რის გაკეთებას აპირებთ ახლო მომავალში?

— რაც შეიძლება მალე უნდა დავიწყოთ ბავშვებთან მუშაობა, რათა მომავალში „წამოვიწოთ“ სოფთბოლში მოწინავე ქვეყნების წარმომადგენლებს, ხოლო იმ ქვეყნებთან, რომლებმაც ჩვენსავით დღეს ან გუშინ დაიწყეს სპორტის ამ სახეობის დანერგვა (ძირითადად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები), ახლავე შეგვიძლია პაექრობა.

მომავალში გვსურს ჩავატაროთ საერთაშორისო და საჩვენებელი შეხვედრები.

● თქვენ თავად საიდან „მოხვედით“, სპორტის რომელ სახეობაში გიმუშავიათ?

— თორმეტი წელია, მძლეოსნობაში ვმუშაობ. ამ ხნის მანძილზე მითანამშრომლია ფეხბურთელებთან, კალათბურთელებთან, ხელბურთელებთან და სხვა სახეობების წარმომადგენლებთან, როგორც ფიზიკური მომზადების მწვრთნელს. ყოველთვის ვცდილობდი „მეპოვა“ ისეთი თამაში, რომელიც მიესადაგებოდა ქართველთა ხასიათს. მერწმუნეთ, სწორედ ასეთი სახეობებია მამაკაცებში კეტბურთი და ქალებში სოფთბოლი. მათი მსგავსიც ხომ გაგვაჩნია ქართულ ხალხურ მოძრავ თამაშებში. იმედია, ჩვენი ახალგაზრდობა მალე გაითავისებს ამ ჯერჯერობით უცნო სახეობას...

ბ. ბურდული



სოფთბოლის მომავალი ოსტატები საწვრთნელ მეცადინეობაზე. **ა. კოტორაშვილის ფოტოები.**

კლუბიც განვაახლოთ

ჩვენი დედაქალაქის ცენტრში ყველამ კარგად იცის ვერის ბაღი. დიდხანს მას კიროვის პარკი ერქვა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ხალხმა გამოიღვიძა და ვერის ბაღსაც ეშველა — ძველი სახელი დაიბრუნა. დაიწყო სარეკონსტრუქციო სამუშაოები, აქაურობა საფუძვლიანად განახლდება.

ვერის ბაღში მდებარე ვეტერანთა კლუბი ძალზე სავალალო დღეშია. ისეა, როგორც კაცი, რომელიც ყავარჯნებსაა დაყრდნობილი და საცოდავად იმზირება, ეგებ ვინმე გამოჩნდეს და ხელი შემაშველოსო. არადა, იგი მართლაც საცოდავად გამოიყურება ამ ლამაზ გარემოში, იქ, სადაც ჭადრაკის სასახლე და ნორჩ კალათბურთელთა მშვენიერი დარბაზია. ვერის ბაღში მრავალი მომსვლელი და დამსვენებელი იკრიბება. ამ პატარა, მაგრამ დიდი სპორტული ტრადიციების მქონე ბაღს „მისი ვეტერანებიც“ არ აკლებენ ყურადღებას, მაგრამ მარტო მათი მცდელობა, რომ კლუბი განახლებული იერით წარმოჩნდეს, ვერაფერი იმედია. არადა, განახლებულ ვერის ბაღს ნამდვილად სჭირდება ვეტერანთა განახლებული კლუბი.

თენგიზ თომაძე,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ქართული პრესა წერდა...

„2 მაისს. მოვიდა აპრილის 30-ს პოეზდი, მაგრამ რა მოვიდა: ათი ვაგონის მაგიერად ოცი ვაგონი სამასის პასაჟირით; ვაგონებში რომ ადგილი აღარ იყო, ვაგონის საფეხურებზე იდგნენ პასაჟირები. მაისის 1-ს მოვიდა დილის პოეზდი უფრო სავსე პასაჟირებით. ნავებით და ცხენებით რაც მოვიდნენ, ის სხვა იყო, გაივსო სასტუმროები და სამეიტნოები იმერლებით და ბურთის მოთამაშე მეგრელებით. იყენენ თავადაზნაურებიც. პარტია თანმოყვანილი კაცებით, იყო დიდი აყალმაყალი ბურთის გატანაზედ.

...საათის პირველამდის იწვამა, შემდეგ უცებ გაქრნენ ღრუბლები, ჭამოსცა მზემ თავისი სხივები, გაახარა ყოველი ხალხი... მოისმა ქუთაისიდან მოწვეული სამას მანეთიანი მუსიკის ხმა, გაჩნდა ხმაურობა, დაიწყეს ბურთის ატარ-ჩატარება, გზებზედ დიდის „ვარადათი“ და „ურათი“.

...გავარდა ბურთი, გაჩნდა დიდი ძაგა-ძუგი; გურულებმა და ხონელებმა იცოდნენ, რომ სიცოტავით ბურთს ვერ წაიღებდნენ და ამ ძაგა-ძუგში ხონელებმა გასჭრეს ბურთი და აღარც ერთს არ ერგოთ; მაგრამ მეგრელებმა მაინც მოილხინეს, მოგლიჯეს ძირიანად ხე და ზედ თავიანთი სარდალი დასვეს და ისე ატარეს...

ასე ამ ნაირად გაირა პირველმა მაისმა“.

ფოთელი, ფოთი. 2 მაისს. „დროება“, 1879 № 94, 5. 5, გვ. 2.

„ბაგვითენდა ღვთისმშობლობა. წირვის შემდეგ გაიმართა ჭიდაობა და თან უსიამოვნებაც მოჰყვა ამას საუბედურად. ჩაერიენენ ზოგი ერთი თავადის შვილები და ისეთ ნაირი ჩხუბები ასტეხეს, რომ საქმე იარაღზედ მიიყვანეს“.

მგზავრი. ქვათახევი, 15 მარიამობისთვეს, „დროება“, 1882, № 176. 22. 8. გვ. 2.

„დ. ხაშური. აქ ყოველ წელიწადს, 8 მაისს, იმართება ესრეთ წოდებული დღეობა **გორათობა.** ამ დღეს მრავლად იყრის აქ ხალხი თავს და დროებას ატარებს. წელს ამინდი ხელს უწყობდა და ამიტომ ხალხი ბლომად შეგროვდა ქართლიდამ და იმერეთიდამ. გაიმართა ჭიდაობა, რაშიაც ქართლელები და იმერლები შეეტოქებიან ხოლმე. წელს ჯამარჯვებულნი იმერლები დარჩნენ. რადგან ყველა ფალავანი, ქართლელების გამოყვანილი. იმერლებმა წაქციეს. ბოლოს ხალხი მშვიდობიანად დაიშალა და თავიანთ სოფლებში დაბრუნდნენ. მხოლოდ ქართლელებს ცოტა მოწყენილობა ეტყობოდათ“.

„ივერია“, 1897, 17. 5, № 94, გვ. 2.



ამბავი — გაზეთი

ამას წინათ სადღაც ამოვიკითხე, რომ ხოხუმში ადრე მცხოვრები ბერძენი მოვიდავეები, რომლებიც ამშობლოში, საბერძნეთში, გადახალდნენ, წარმატებით გამოდიან ხსვადასხვა შეჯიბრებებში. ხომ არაფერი იცით მათ შესახებ?

ნ. ნებგიერიძე,
თბილისი.

ვაქვეყნებთ „ლელოს“ სოხუმელი კორესპონდენტის წერილს, რომელიც მან რედაქციის დავალებით მოამზადა.

რამდენიმე წლის წინ სალონიკში გადასახლდნენ სოხუმელი ბერძნების — პერჩანიდების და მურატოვების ოჯახები, რომელთა წევრები: იანნი პერჩანიდი და იური მურატოვი სოხუმში ვარჯიშობდნენ სამბოსა და ძიუდოში.

იანნი პერჩანიდი რამდენჯერმე იყო საქართველოს ჭაბუკთა პირველობის პრიზიორი ძიუდოში. მან საბერძნეთშიაც განაგრძო ვარჯიში და 1989 წელს გახდა საბერძნეთის ჩემპიონატის ვერცხლის მედალისანი, ინგლისში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მეორე ადგილზე გავიდა. ამჟამად იანნი პერჩანიდი საბერძნეთის არმიაში მსახურობს.

იური მურატოვი სამბოში სპორტის ოსტატი იყო, ძიუდოში კი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი. ი. მურატოვიც საქართველოს პირველობების პრიზიორი გახლდათ სამბოსა და ძიუდოში.

საბერძნეთში ი. მურატოვი გახდა ამ ქვეყნის ძიუდოისტთა ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, არის საბერძნეთის ნაკრების წევრი. 1991 წლის დასაწყისში ი. მურატოვი, როგორც საბერძნეთის ოლიმპიური ნაკრების წევრი, იმყოფებოდა შტუტგარტში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც, სხვათა შორის, შეხვდა სოხუმელ ფალავანს ვლადიმერ დგებუაძეს.

თენგიზ პაპკორია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.
სოხუმი.

ტურნირის წინ

ხულ მალე თბილისი უმასპინძლებს დიდ საერთაშორისო ტურნირს მკლავჭიდში, მანამდე კი მკლავჭიდის რესპუბლიკური ფედერაცია არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეებითაა დაკავებული: მისი უშუალო თაოსნობით თუ ხელშეწყობით რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში იმართება მკლავჭიდელთა სხვადასხვა მასშტაბის ტურნირები.

ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანში ჩატარდა სახელოვანი სპორტსმენის გოგი ბაშინურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ მეზობელი რაიონის წარმომადგენლები — სულ 62 კაცი. დაძაბული, უშეღავათო პაექრობის შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ვანო ქისიშიანმა, ვალერი ქეთელაურმა, მალხაზ წოდოიძემ, ბორის ქინქლაძემ და სპარტაკ კაშაურმა. აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა მალხაზ წოდოიძემ, რომელმაც სპარტაკ კაშაურს სძლია ფინალურ ორთაბრძოლაში, მესამე იყო ბორის ქინქლაძე. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების სპონსორმა „თუშეთის სადროშომ“ ყველა პირობა შეუქმნა ტურნირის მონაწილეებს. დახმარება არ დაუკლიათ, აგრეთვე საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის წარმომადგენლებს.

თ. ხინკლაშვილი,
სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ახმეტის რაიონული ხაბჭოს თავმჯდომარე.

მსოლოდ ტექნიკური შედეგები

ცხენოსნობა. თბილისის აბსოლუტური პირადი პირველობა დაბრკოლებათა გადალახვაში.

გაბსნის პრიზი. უფროსი ახაკის ცხენებით: 1. დიმიტრი გაშიბაიაზოვი; 2. ზურაბ ჭინჭარაძე (ორივე საცხენოსნო ბაზა), 3. ალექსანდრე ჭელიძე (განათლების სპორტსკოლა). **ახალგაზრდა ცხენებით:** 1. ხვიჩა ტუსიშვილი, 2. ივანე ყურუა (ორივე საცხენოსნო ბაზა), 3. მამუკა ოქროპირიძე (განათლების სპორტსკოლა).

ხამონადირეო პარკური. უფროსი ახაკის ცხენებით: 1. ჭინჭარაძე, 2. ტუსიშვილი, 3. გაშიბაიაზოვი. **ახალგაზრდა ცხენებით:** 1. ოქროპირიძე, 2. რევაზ მიკიჩაშვილი (განათლების სპორტსკოლა), 3. ტუსიშვილი.

თბილისის თახი. უფროსი ახაკის ცხენებით: 1. ტუსიშვილი, 2. გაშიბაიაზოვი, 3. ჭელიძე. **ახალგაზრდა ცხენებით:** 1. ზაზა გონჯილაშვილი (საცხენოსნო ბაზა), 2. რონინ მარგიანი (განათლების სპორტსკოლა), 3. ყურუა.

აბსოლუტური პირველობა (სამივე სახეობის ჯამში) უფროსი ახაკის ცხენებით: 1. გაშიბაიაზოვი, 2. ტუსიშვილი, 3. ჭინჭარაძე. **ახალგაზრდა ცხენებით:** 1. ტუსიშვილი, 2. ოქროპირიძე, 3. ყურუა.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის.

V ტური

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 0:1. მსაჯი ზ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლი: ყიფიანი.

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ზ. თურმანიძე (სტუ).

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — ფიზკულ. ინსტ. (თბილისი) 3:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ახვლედიანი, უკლება-2, („საპოვნელა“).

„არმაზი“ (მცხეთა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი). გოლები: მელაძე, სოლოღაშვილი („არმაზი“).

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:1. მსაჯი ხ. შალამბერიძე (თბილისი). გოლი: ღვინიაშვილი („დურუჯი“).

„სიონი“ (ბოლნისი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:0. მსაჯი ლ. მგელაძე (თბილისი).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ა. შაკიაშვილი („სიონი“). ჯერ გააფრთხილეს, ხოლო შემდეგ მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს ა. ძიძიშვილი („სამეგრელო“).

„ხვური“ (წალენჯიხა) — „ოკრიბა“ (ტყიბული) 3:1. მსაჯი მ. ფოლადაშვილი (რუხთავი). გოლები: კვირტია, კვარაცხელია, ჯოლოხავა, („ხვური“), კალატოზი („ოკრიბა“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს გ. სოფრომიძე. მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს ფანჩულიძე (ორივე — „ოკრიბა“).

„ხიხარული-90“ (გაგრა) — „ეგრისი“ (ხენაკი) 0:0. მსაჯი შ. ბერიძე (თბილისი).

მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს მ. მოსიავა („ხიხარული-90“).

„იმერეთი“ (ხონი) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:2. მსაჯი ე. ხალაგავა (თბილისი). გოლები: ცირანიძე-2 („იმერეთი“), მოსიაშვილი, ლაფანაშვილი („არაგვი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს კ. ფანცულაია („იმერეთი“).

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „კახეთი“ (თელავი) 1:0. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი): გოლი: გაგნიძე („ქართლი“).

სახიფათო თამაშისთვის გააფრთხილეს გ. როსტომაშვილი, სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდებისთვის — ზ. ჯაშიაშვილი (ორივე „კახეთი“), დროის გაყვანისთვის — გ. სემიონოვი („ქართლი“).

„შუქურა“ (ქობულეთი) — „მრეტები“ (თბილისი) 0:1. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი). გოლი: ტყავაძე („მრეტები“).

. უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გ. კომახიძე („შუქურა“), მსაჯთან კამათისთვის — ლ. გოდერძიშვილი („მრეტები“).

5 აპრილს გაიმართა პირველი ტურის გამოტოვებული მატჩი.

„ხიხარული-90“ (გაგრა) — „ოკრიბა“ (ტყიბული) 0:0. მსაჯი ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ა. ლუხუცაშვილი („ხიხარული-90“).

VI ტური

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:0. მსაჯი ხ. შალამბერიძე (თბილისი). გოლი: ციმაკურიძე („სამეგრელო“).

ფიზკ. ინსტ. (თბილისი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 4:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: კვეტენაძე, ივანიშვილი, ტოგონიძე, ჭანკვეტაძე (ფიზკ. ინსტ.).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 0:1. მსაჯი ლ. მგელაძე (თბილისი). გოლი: უკლება („საპოვნელა“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს მ. გეწაძე („საპოვნელა“).

„ოკრიბა“ (ტყიბული) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:0. მსაჯი დ. ხანანაია (ხოსუმი).

გოლი: ფანჩულაძე („ოკრიბა“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს მ. კიპაროიძე („მაღაროელი“).

„მრეტები“ (თბილისი) — „ხვური“ (წალენჯიხა) 3:0. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი). გოლები: ტყავაძე-3 („მრეტები“).

არასპორტული საქციელისთვის გააფრთხილეს ჯ. ჯაგიდისი („მრეტები“).

„კახეთი“ (თელავი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 3:0. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლები: ჭვირტიძე, კილასონია, აფაქიძე („კახეთი“).

„არაგვი“ (დუშეთი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:1. მსაჯი დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი). გოლები: ბ. წიკლაური, ა. წიკლაური („არაგვი“), ზ. ხორგუაშვილი („ქართლი“).

სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდებისთვის გააფრთხილეს ზ. ჯამაგიძე („არაგვი“).

„ხიხარული-90“ (გაგრა) — „იმერეთი“ (ხონი) 1:1. მსაჯი მ. მალაღურაძე (თბილისი). გოლები: პოოლსანი („ხიხარული-90“), ცინარიძე („იმერეთი“).

გააფრთხილეს დ. მინდაძე („ხიხარული-90“).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „სიონი“ (ბოლნისი) 1:0. მსაჯი პ. დოგრაშვილი (ქუთაისი). გოლი: მექვაბიშვილი („დურუჯი“).

„ეგრისი“ (ხენაკი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:0. მსაჯი ზ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: ჭანტურია, კუჭავა („ეგრისი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს კ. ივანიშვილი („ეგრისი“).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მრეტები“ (თბილისი)	6	6	0	0	10-1	18
„ოკრიბა“ (ტყიბული)	6	4	1	1	7-3	13
„დურუჯი“ (ყვარელი)	6	4	0	2	7-2	12
„კახეთი“ (თელავი)	6	3	2	1	11-3	11
„არაგვი“ (დუშეთი)	6	3	2	1	11-5	11
„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ)	6	3	2	1	5-2	11
სტუ	6	3	1	2	5-4	10
„საპოვნელა“ (თერჯოლა)	6	3	1	2	6-6	10
„ეგრისი“ (ხენაკი)	6	3	1	2	6-9	10
„შუქურა“ (ქობულეთი)	6	3	0	3	4-6	9
„არმაზი“ (მცხეთა)	6	2	2	2	10-5	8
„ხვური“ (წალენჯიხა)	6	2	2	2	6-6	8
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	6	2	0	4	5-6	6
„ქართლი“ (გორის რ-ნი)	6	2	0	4	5-7	6
ფიზკ. ინსტ. (თბილისი)	6	2	0	4	5-8	6
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	6	1	2	3	4-8	5
„ჩიხურა“ (საჩხერე)	6	1	1	4	4-13	4
„ხიხარული-90“ (გაგრა)	6	0	4	2	2-6	4
„სიონი“ (ბოლნისი)	6	0	3	3	2-7	3
„იმერეთი“ (ხონი)	6	0	2	4	3-11	2

„ლაუდრუპების დინასტიის“ გამგრძელებელი

გულშემატკივრებს ფეხბურთელთა არაერთი დინასტია ახსოვთ... ახლა გევრს ლაპარაკობენ ლაუდრუპების ოჯახზე და აქედან გამოსულ საუკეთესო ოსტატებზე.

ოჯახის მამა, ცნობილი დანიელი ფეხბურთელი ფინ ლაუდრუპი, წარმატებით თამაშობდა „ვინერ შპორტკლუბში“ (ავსტრია), შემდეგ — „ბრონდბიუში“. რომლის ტექნიკური დირექტორიც გახდა. ვინ იცნობდა ადრე ამ გუნდს, ახლა რომ ევროპულ ფეხბურთში ესოდენ საპატიო ადგილი დაიკავა?

ამას წინათ ვწერდით მის უფროს ვაჟზე — მიჰაელ ლაუდრუპზე. მართო ის ფაქტი, რომ 6 წელი „ლაციოსა“ და „იუვენტუსში“ გაატარა, ახლა კი „ბარსელონაში“ თამაშობს, ვფიქრობთ, რაიმე განმარტებას არც კი საჭიროებს.

ახლა კი ზოგი რამ მიჰაელის უმცროს ძმაზე — ბრაიან ლაუდრუპზე, რომელმაც 1990 წელს საკმაოდ გაითქვა სახელი.

ბრაიანი დაიბადა 1969 წლის თებერვალში ვენაში, სადაც იმ დროს მამამისი თამაშობდა. 1987 წლის აპრილში შედგა მისი დებიუტი დანიის პირველობაზე. სულ რაღაც ორი სეზონის მანძილზე მან მოასწრო გაევლო გზა ახალგაზრდული და ოლიმპიური ნაკრებებიდან ქვეყნის პირველ გუნდამდე. თუმცა მრავალნაცადმა გერმანელმა მწვრთნელმა ზეპ პონტეკმა მისთვის ჩვეული პედაგოგიური ტაქტი გამოიჩინა. არ აჩქარდა, როცა ევროპის 1988 წლის პირველობა იწყებოდა — დე, ბრაიანმა ჯერ ძალები მოიკრიბოს, ნაკრებში თამაშს მერეც მოასწრებსო, ეს დროც მალე დადგა. 20 წლის ბრაიანმა პირველად ითამაშა მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში მალტელების წინააღმდეგ და, საერთოდ, ექსპერტების აზრით, ძალიან კარგად წარმართა მთელი შესარჩევი ტურნირი.

მას შემდეგ, რაც „ბრონდბიუს“ შემადგენლობაში ქვეყნის ოოგზის ჩემპიონი გახდა და დანიის № 1 ფეხბურთელის წოდებაც მოიპოვა, უეჭველი იყო, ბრაიანს სამშობლოში არავინ გააჩერებდა, მას რომელიმე პროფესიული კლუბი „დაეპატრონებოდა“.

—პირველ პროფესიულ კლუბად — ამბობს ბრაიანი (რომლისთვისაც მილიონნახევარი დოლარი გადიხადეს) — „იურდინგენის „ბაიერი“ ავირჩიე. რატომ? . იმიტომ, რომ ეს პატარა ქალაქი გახლავთ, შორსაა დიდი საფეხბურთო აყიოტაჟისაგან, მაინცდამაინც არც გულშემატკივრები გაწუხებენ და არც

დარჩა მხოლოდ ერთადერთი მეზეზღვაური ა. ბერტრანდი, რომელმაც თქვა, რომ შეჯახების დროს გარშემო ყველაფერი სქელი ბოლუსით იყო მოცული და, ვისაც ეს ეხებოდა, სათანადო ხელსაწყოების ნაცვლად თვალმოუცილებლად უყურებდა საფეხბურთო მატჩს „იუვენტუსსა“ და „ბარსელონას“ შორის.

მწვრთნელი შეცვალეს

მაინის ფრანკფურტის „აინტრახტმა“ ამას წინათ, სასტიკი მარცხი იწვნია „ჰამბურგთან“. შეხვედრაში (0:6), ამიტომაც, კლუბის ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გაათავისუფლა მწვრთნელი იორგ ბერგერი. ამის შესახებ ცნობა გადმოსცა რეიტერის სააგენტომ.

„აინტრახტს“ სათავეში ჩაუდგა იუგოსლავიელი სპეციალისტი დრაგოსლავიელ სტეფანოვიჩი, რომელიც ფრანკფურტის კლუბში თამაშობდა 1976-1978 წლებში.

დაკითხვაზე დაიბარეს

იტალიის საფეხბურთო კლუბ „ნაპოლის“ მწვრთნელი ალბერტო ბიგონი და ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელები კარეკა და ალემაო დაკითხეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის წევრებმა.

ეს კომისია ამჟამად იძიებს დიეგო მარადონას საქმეს ნარკოტიკებთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ მარადონამ გააპროტესტა თავისი 15-თვიანი დისკვალიფიკაცია და სწორედ ეს კომისია სწავლობს ახლა საკითხს, შესაძლოა თუ არა, მისთვის დისკვალიფიკაციის ვადის შემცირება.

ტყუილად ცდილობენ

იუგოსლავიაში საკმაო პოპულარობა მოიპოვა ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებისა და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ლარკო პანჩევმა. ახლა მის გადაბირებას არაერთი უცხოური კლუბი ცდილობს. ამასთან დაკავშირებით, „ცრვენა ზვეზდას“ წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უცხოელები ტყუილად ჩქარობენ — პანჩევს ხელშეკრულება 1992 წლის ზაფხულამდე აქვს დადებული და მხოლოდ შემდეგ შეეძლება, სადაც უნდა იქ წავიდეს.

ტოშაკი — ძველ ამბავში

მას შემდეგ, რაც იძულებული გახდა მადრიდის „რეალთან“ ურთიერთობა შეეწყვიტა, უელსელმა ჯონ ტოშაკმა ისევ სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადში“ განაახლა მუშაობა, კლუბში, სადაც რამდენიმე წლის წინ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია.

ნაკრების მეკარეები ინგლისში

მოხდა ისე, რომ ახლა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ორივე ძირითადი მეკარე ინგლისის კლუბებში თამაშობს. უკვე გაუწყეთ, რომ ლუდეკ მიკლოშკო თბილისელთათვის კარგად ცნობილ „ვესტ ჰემ იუნაიტედში“ გამოდის. მისი თამაშით ამ კლუბის ხელმძღვანელობა (გუნდს პირველ ლიგაში დაბრუნების შესაძლებლობა აქვს) ძალიან კმაყოფილია.

28 წლის იან სტეისკალი პირველი ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელია, რომელიც ინგლისის პირველ ლიგაში გამოდის. ამჟამად იგი „ლიდს იუნაიტედის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა.

შეგახსენებთ, რომ მიკლოშკო და სტეისკალი მონაცვლეობით თამაშობენ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში.

დემიანენკო „მაგდებურგში“ თამაშობს

ანატოლი დემიანენკო, რომელიც ადრე კიევის „დინამოს“ კაპიტანი იყო და საბჭოთა ნაკრებში 82 მატჩი ითამაშა, ახლა „მაგდებურგში“ გამოდის. გერმანელი მომამხილველების აზრით, ესოდენ გამოცდილი ფეხბურთელის მიღებამ აშკარად გააძლიერა ამ გუნდის დაცვა.

● **ვერაკრუსი.** მექსიკელმა ფეხბურთელებმა შინ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოუგეს ჩილეს ნაკრებს — 1:0. გოლი 33-ე წუთზე გაიტანა ესპინოზამ.

გაგრძელდა

1 მაისამდე

ფიფა-მ ფეხბურთში მსოფლიო 1994 წლის ჩემპიონატის მატჩების ჩატარების მსურველი ამერიკული ქალაქების მიერ სათანადო განცხადების წარმოდგენის ვადა 1 მაისამდე გააგრძელა.

30 ათასი ფრანკი ღირს

„კოპა ლიბერტადორესი“ ანუ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონების თასი ფეხბურთში, როგორც მკითხველს მოეხსენება, მეტად პოპულარული შეჯიბრებაა.

გამარჯვებული ჯილდოდ გარდამავალ ვერცხლის თასს იღებს, რომლის ღირებულება 30 ათასი შეეიკარიული ფრანკია.

ახალი კონტრაქტები

იუპ ჰეინკესმა, რომელიც წარმატებით მუშაობს მიუნხენის ფეხბურთელთა გუნდ „ბაიერნთან“, გააგრძელა თავისი კონტრაქტი 1992 წლის ზაფხულამდე.

ჰორსტ კოპელი, რომელიც კარგა ხანს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე იყო, — ახლა დორტმუნდის „ბორუსიას“ ხელმძღვანელობს. მან კონტრაქტი 1992 წლის ზაფხულამდე გააგრძელა.

საუკეთესო — პეტერ შმეიხელი

დანიელ ჟურნალისტების საერთო აზრით, ამჟამად ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად უნდა მივიჩნიოთ „ბრონდბიუს“ მეკარე პეტერ შმეიხელი, რომელმაც ძალიან გამოიჩინა თავი წლევანდელ უეფა-ს თასზეც. შმეიხელი ახლა დანიის ნაკრების ძირითადი მეკარეა, რომლის შემადგენლობაში 37 მატჩი ჩაატარა. მეკარე 27 წლისაა.

დამნაშავეა... ფეხბურთი

ფრანს პრუსის სააგენტო იუწყება, რომ ტვირთის გადასაზიდი ბორანის „მობი პრინცის“ და ნავთობის ტანკერის ფრიად სავალალო ავარიის მიზეზია „მობი პრინცის“ ეკიპაჟის ჰარბი ინტერესი ფეხბურთისადმი. ამ შეჯახებამ, როგორც ცნობილია, იმსხვერპლა 140 კაცი.

ეკიპაჟის შემადგენლობიდან გაბმწვრთნელმა ზეპ პონტეკმა მისთვის ჩვეული პედაგოგიური ტაქტი გამოიჩინა. არ აჩქარდა, როცა ევროპის 1988 წლის პირველობა იწყებოდა — დე, ბრაიანმა ჯერ ძალები მოიკრიბოს, ნაკრებში თამაშს მერეც მოასწრებსო, ეს დროც მალე დადგა. 20 წლის ბრაიანმა პირველად ითამაშა მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში მალტელების წინააღმდეგ და, საერთოდ, ექსპერტების აზრით, ძალიან კარგად წარმართა მთელი შესარჩევი ტურნირი.

მას შემდეგ, რაც „ბრონდბიუს“ შემადგენლობაში ქვეყნის ოოგზის ჩემპიონი გახდა და დანიის № 1 ფეხბურთელის წოდებაც მოიპოვა, უეჭველი იყო, ბრაიანს სამშობლოში არავინ გააჩერებდა, მას რომელიმე პროფესიული კლუბი „დაეპატრონებოდა“.

—პირველ პროფესიულ კლუბად — ამბობს ბრაიანი (რომლისთვისაც მილიონნახევარი დოლარი გადიხადეს) — „იურდინგენის „ბაიერი“ ავირჩიე. რატომ? . იმიტომ, რომ ეს პატარა ქალაქი გახლავთ, შორსაა დიდი საფეხბურთო აყიოტაჟისაგან, მაინცდამაინც არც გულშემატკივრები გაწუხებენ და არც

დარჩა მხოლოდ ერთადერთი მეზეზღვაური ა. ბერტრანდი, რომელმაც თქვა, რომ შეჯახების დროს გარშემო ყველაფერი სქელი ბოლუსით იყო მოცული და, ვისაც ეს ეხებოდა, სათანადო ხელსაწყოების ნაცვლად თვალმოუცილებლად უყურებდა საფეხბურთო მატჩს „იუვენტუსსა“ და „ბარსელონას“ შორის.

მწვრთნელი შეცვალეს

მაინის ფრანკფურტის „აინტრახტმა“ ამას წინათ, სასტიკი მარცხი იწვნია „ჰამბურგთან“. შეხვედრაში (0:6), ამიტომაც, კლუბის ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გაათავისუფლა მწვრთნელი იორგ ბერგერი. ამის შესახებ ცნობა გადმოსცა რეიტერის სააგენტომ.

„აინტრახტს“ სათავეში ჩაუდგა იუგოსლავიელი სპეციალისტი დრაგოსლავიელ სტეფანოვიჩი, რომელიც ფრანკფურტის კლუბში თამაშობდა 1976-1978 წლებში.

დაკითხვაზე დაიბარეს

იტალიის საფეხბურთო კლუბ „ნაპოლის“ მწვრთნელი ალბერტო ბიგონი და ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელები კარეკა და ალემაო დაკითხეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის წევრებმა.

ეს კომისია ამჟამად იძიებს დიეგო მარადონას საქმეს ნარკოტიკებთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ მარადონამ გააპროტესტა თავისი 15-თვიანი დისკვალიფიკაცია და სწორედ ეს კომისია სწავლობს ახლა საკითხს, შესაძლოა თუ არა, მისთვის დისკვალიფიკაციის ვადის შემცირება.

ტყუილად ცდილობენ

იუგოსლავიაში საკმაო პოპულარობა მოიპოვა ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებისა და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ლარკო პანჩევმა. ახლა მის გადაბირებას არაერთი უცხოური კლუბი ცდილობს. ამასთან დაკავშირებით, „ცრვენა ზვეზდას“ წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უცხოელები ტყუილად ჩქარობენ — პანჩევს ხელშეკრულება 1992 წლის ზაფხულამდე აქვს დადებული და მხოლოდ შემდეგ შეეძლება, სადაც უნდა იქ წავიდეს.

ტოშაკი — ძველ ამბავში

მას შემდეგ, რაც იძულებული გახდა მადრიდის „რეალთან“ ურთიერთობა შეეწყვიტა, უელსელმა ჯონ ტოშაკმა ისევ სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადში“ განაახლა მუშაობა, კლუბში, სადაც რამდენიმე წლის წინ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია.

ნაკრების მეკარეები ინგლისში

მოხდა ისე, რომ ახლა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ორივე ძირითადი მეკარე ინგლისის კლუბებში თამაშობს. უკვე გაუწყეთ, რომ ლუდეკ მიკლოშკო თბილისელთათვის კარგად ცნობილ „ვესტ ჰემ იუნაიტედში“ გამოდის. მისი თამაშით ამ კლუბის ხელმძღვანელობა (გუნდს პირველ ლიგაში დაბრუნების შესაძლებლობა აქვს) ძალიან კმაყოფილია.

28 წლის იან სტეისკალი პირველი ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელია, რომელიც ინგლისის პირველ ლიგაში გამოდის. ამჟამად იგი „ლიდს იუნაიტედის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა.

შეგახსენებთ, რომ მიკლოშკო და სტეისკალი მონაცვლეობით თამაშობენ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში.

დემიანენკო „მაგდებურგში“ თამაშობს

ანატოლი დემიანენკო, რომელიც ადრე კიევის „დინამოს“ კაპიტანი იყო და საბჭოთა ნაკრებში 82 მატჩი ითამაშა, ახლა „მაგდებურგში“ გამოდის. გერმანელი მომამხილველების აზრით, ესოდენ გამოცდილი ფეხბურთელის მიღებამ აშკარად გააძლიერა ამ გუნდის დაცვა.

● **ვერაკრუსი.** მექსიკელმა ფეხბურთელებმა შინ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოუგეს ჩილეს ნაკრებს — 1:0. გოლი 33-ე წუთზე გაიტანა ესპინოზამ.

სამი მატჩი

ფეხბურთის მოყვარულებს, და არა მარტო მათ, ინტერესებთ I ლიგის წლევანდელ საკავშირო საფეხბურთო პირველობაში კვლავ მონაწილეობს თუ არა სოხუმის „დინამო“. გაცნობებთ, რომ სოხუმელები წლეულსაც გამოდიან საკავშირო სარბიელზე. დღემდე მათ 3 მატჩი გამართეს: სტავროპოლში ფრედ დაამთავრეს თამაში ადგილობრივ თანაკლუბელებთან — 0:0, ასევე 0:0 დაასრულეს შეხვედრა აბოვიანში „კოტაიკთან“ და შინ დამარცხეს ჩერნოვცის „ბუკოვინა“ — 1:0.

მრეგორ გამოიყურება „სუპერდიდოსტატთა კლუბი“?

მას შემდეგ, რაც ტრადიციად იქცა წელიწადში ერთჯერ (1 იანვარსა და 1 ივლისს) მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატთა სიის გამოქვეყნება, ერთი თვისებური წესიც დადგინდა: იმ მოჭადრაკეებს, რომელთა კოეფიციენტიც 2600 ქულას უდრის, ან მას აღემატება, „სუპერდიდოსტატთა კლუბს“ მიაკუთვნებენ ხოლმე. გასაგებია, ეს „კლუბი“ ყოველთვის მცირერიცხოვანი იყო, თუმცა ამ ბოლო ხანებში შეიმჩნევა მის წევრთა რაოდენობის ზრდის ტენდენციაც.

პირველ ადგილზე 2800 ქულით კვლავინდებურად კასპაროვია, რომელიც. ამ პოზიციას უკვე რამდენიმე წელია ინარჩუნებს. წლეულს მან ჯერჯერობით მხოლოდ ლინარესში (ესპანეთი) ითამაშა; მართალია, ვერ გაიმარჯვა, მაგრამ იმდენი ქულა კი მოაგროვა, რომ ჯოფიციენტი არ გაუუარესდეს. 1 ივლისისთვის, როცა ახალი სია გამოქვეყნდება, მსოფლიო ჩემპიონი კვლავ პირველ ადგილზე იქნება.

2725 ქულით მეორეა კარპოვი. მსოფლიო პირველობაზე მატჩის დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ იგი რეჯიო-ემილიაში (იტალია) გაემგზავრა, სადაც დიდოსტატთა ძლიერ ტურნირში პირველ ადგილზე გავიდა. მაგრამ ამას მოჰყვა ექსჩემპიონის არნახული მარცხი ლინარესში. ასე რომ, დღეისათვის ნათელი არ არის, შეინარჩუნებს თუ არა ივლისისთვის კარპოვი მეორე ადგილს. ივანჩუკს თუ დავუჯერებთ, ამ პერიოდისთვის სწორედ იგი იქნება მეორე.

გელფანდი (2700), ეტყობა, ასევე რამდენადმე უკან დაიხევს, გზას დაუთმობს თავის მეტოქე ივანჩუკს (2695). როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ ორ ახალგაზრდა დიდოსტატს 1993 წლისთვის კასპაროვის შესაძლებელ მეტოქეთა შორის ასახელებენ. მათ უკვე გაიარეს პრეტენდენტთა ასპარეზობის პირველი წრე: ივანჩუკმა სრულიად იოლად, გელფანდმა — რის ვაივაგლახით. შემდეგ, რა თქმა უნდა, შეიძლება როლებიც შეიცვალოს.

V—VII ადგილებს ჯერჯერობით იყოფენ ბერეევი, გურევიჩი და ელვესტი (2650 თითოეულს), VIII-IX ადგილებს — სალოვი და იუდასინი (2645). X—XIII ადგილებზე არიან ანდერსონი (შვეცია), ბელიავსკი, ხალიფმანი და კამსკი (2640). კამსკი ძალიან „დაზარალდა“ ლინარესში, სადაც 14 მონაწილეს შორის ბოლო ადგილი დაიკავა (ეს, ცხადია, 1 ივლისის ცხრილში აისახება). თუმცა ამ ტურნირის შემდეგ მან ურიგოდ არ ითამაშა ნიუ-იორკში, სადაც მეორე ადგილი გაიყო და ამდენად დაიბრუნა რამდენიმე ადრე დაკარგული ქულა. ივლისამდე, რა თქმა უნდა, იგი რომელიმე სხვა შეჯიბრებაშიც გამოვა.

XIV—XV. ანანდი (ინდოეთი) და შორტი (ინგლისი) — 2635. ანანდმა ლინარესში მოუგო კარპოვს, მაგრამ, ცხადია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში მასთან უკეთესი პერსპექტივები აქვს. შორტი კვლავინდებურად საკმაოდ არათანაბრად თამაშობს, თუმცა მისი დიდ საჭადრაკო ნიჭი აშკარაა.

ტიმანი (ჰოლანდია), რომელიც „კლუბში“ ბევრჯერ ყოფილა მესამე, ახლა მეთექვსმეტეა (2630), მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ პრეტენდენტთა ასპარეზობაში განაგრძობს ბრძოლას და ჰიუბნერს დამაჯერებლად სძლია. მეჩვიდმეტეა დრეევი (2625), მაგრამ მას შემდეგ, რაც ანანდთან სასტიკად დამარცხდა, მომავალში „კლუბის“ დატოვება ემუქრება. XVIII-XXI ადგილებს 2620 ქულით იყოფენ ეპიშინი, დოლმატოვი, ნიკოლიჩი (იუგოსლავია) და ჰიუბნერი (გერმანია), XXII-XXIII ადგილებს—60 წლის კორჩნოი (შვეიცარია) და შიროვი.

დაბოლოს, დანარჩენი წევრები არიან: 24-ე—27-ე. პოლუგაევსკი, რომანიშინი, ჩერნინი და სპილმენი (ინგლისი) — 2610. 28-ე—30-ე. საკსი (უნგრეთი), იუსუპოვი, ვიჟმანავინი — 2605, 31-ე — 32-ე. ადამსი და ნანი (ორივე—ინგლისი) — 2600.

ზურაბ აზმაიფარაშვილი 2580 ქულით 41-ე—45-ე ადგილებს იყოფს და საკმარისია, ერთ რომელიმე ტურნირში წარმატებით ითამაშოს, ისევ შევა „სუპერდიდოსტატთა კლუბში“.

დრონი მეფობენ და არა მეფენი! კლუბი დასტოვეს ლიუბოევიჩმა (2590), პორტიშმა (2590), თვით ტალმა (2565) და სპასკიმ (2560), ერთ დროს განთქმულმა ლარსენმა (2560), სოკოლოვმა (2550), რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს № 3 მოჭადრაკედ ითვლებოდა.

ბიბი გამრეკელი

ჟ. გაჩეჩილაძე: ბიბლიოთეკა

მეორე ჯგუფის უხინათლო ინვალიდი რომ არ გამხდარიყო, ალბათ მისი სახელიც დაამშვენებდა ქართველ ქალთა საჭადრაკო სკოლას. არადა, ქეთევან გაჩეჩილაძეს ჩინებული მონაცემები ჰქონდა. 10 წლისამ დაიწყო ჭადრაკის თამაში, წარმატებით გამოდიოდა ხაჭალაქო და რესპუბლიკურ პირველობებში, მის ფარგლებს გარეთ. 15 წლისა გახდა თბილისის ჩემპიონი, რისთვისაც სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება მიენიჭა. „ჩემპიონთა რისხვა“ — ასე უწოდებდა ქეთევანს რესპუბლიკური პრესა და, ამაში არაფერი ყოფილა გადაჭარბებული, მართლაც, ოფიციალურ შეჯიბრებებში, ქეთევანს, სხვადასხვა დროს, ჩვენი რესპუბლიკიდან ორივე მსოფლიო ჩემპიონი ქალისთვის მოუგია შეხვედრა, დაუმარცხებია ოსტატები და დიდოსტატები. ხაჭადრაკო სამყაროში მას იცნობდნენ, როგორც უაღრესად კეთილსინდისიერ, შრომისმოყვარე და პერსპექტიულ მოჭადრაკეს. მაგრამ... ბედმა სულ სხვა ინება, ახლა კი...

ჭ. გაჩეჩილაძე 32 წლის ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ახლობლებისა და მეგობრების გულებში.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია

„პოპ-84“ თუ „ბარსელონა“?

პარიზი. კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ბოლო მოქმედებას — ოთხთა ფინალურ ტურნირს ადგილობრივმა სპორტის სასახლემ უმასპინძლა. ამ მარათონული შეჯიბრების გადამწყვეტ ეტაპს კონტინენტის ვაჟთა ოთხი უძლიერესი კლუბი — იუგოსლავიის „პოპ-84“ (ყოფილი „იუგოპლასტიკა“), ესპანეთის „ბარსელონა“, იტალიის „სკავოლინი“ და ისრაელის „მაკაბი“ შემორჩა.

პირველმა ნახევარფინალურმა მატჩმა მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობას (14 ათას გულშემატკივარს) მოუყარა თავი. აქ ერთმანეთს ხვდებოდა ორი თანაბარი კლასისა და დაახლოებით ერთნაირი სტილის მქონე გუნდი — „პოპ-84“ და „სკავოლინი“. ჯერ ინიციატივას იტალიის ჩემპიონები ფლობდნენ, რომელთა რიგებში განსაკუთრებით კარგი თამაშით ორი ამერიკელი — დარენ დეი და დარვინ კუკი გამოირჩეოდა. ამ მონაკვეთში მათ წარმატებით გადაჭრეს ევროპის საუკეთესო კალათბურთელის ტონი კუკოჩის ნეიტრალიზების საკმაოდ რთული საკითხიც. ტაიმი მოიგო „სკავოლინმა“ 4 ქულით — 45:41.

შესვენების შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა და სულ მალე აღდგა წონასწორობა — 55:55: აქედან მოყოლებული იუგოსლავიის გუნდს ხელიდან არ გაუშვია ინიციატივა. 34-ე წუთისთვის „სკავოლინი“ თამაშს უკვე 7 ქულით (66:73) აგებდა, ცოტა მოგვიანებით კი, სხვაობამ 10 ქულას მიაღწია — 71:81. შეხვედრის ბოლო წუთები იტალიელებმა აქტიურად ჩაატარეს, მაგრამ უიმედო მატჩი მაინც ვერ გადაარჩინეს. „პოპ-84“-მა გაიმარჯვა 1—93:87.

მეორე ნახევარფინალური შეხვედრა გაცილებით უფრო მშვიდად ჩატარდა იმიტომ, რომ „ბარსელონას“ უპირატესობა „მაკაბიზე“ აშკარა იყო — 101:67.

ამრიგად, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს იუგოსლავიისა და ესპანეთის კალათბურთლებმა. წინასწარ პროგნოზის გაკეთება, რა თქმა უნდა, ძნელია, ამიტომ, შეგახსენებთ მხოლოდ, რომ ეს გუნდები შარშანდელი ფინალის მონაწილენიც არიან (როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „პოპ-84“-ს „იუგოპლასტიკა“ ერქვა). მაშინ გამარჯვება იუგოსლავიელმა კალათბურთელებმა მოიპოვეს — 72:67.

მსოფლიო ჩემპიონატი ავტორალში

რბოლები კოკისპირულ წვიმაში

გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ავტორალში. მეორე და მესამე ეტაპებზე, რომლებიც შვეიცარიაში და პორტუგალიაში გაიმართა, მრბოლებს ავდარში მოუხდათ ასპარეზობა.

შვეიცარიაში ბრძოლა თავიდან ბოლომდე ჩატარდა, პორტუგალიაში კი კოკისპირულ წვიმას ნისლიც დაემატა და შეჯიბრების ორგანიზატორები იძულებული იყვნენ გაეუქმებინათ რბოლის ბოლო რვა მონაკვეთი.

სამი ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში დაწინაურდა ესპანელი კარლოს საინსი, ხოლო კონსტრუქტორთა პირველობაზე — „ტოიოტა“.

ლიდერების პოზიციები არც მეოთხე ეტაპის შემდეგ შეცვლილა. „საფარი რალი“ 7 აპრილიდან 3 მარტის ჩათვლით გრძელდებოდა კენიაში. ამჯერადაც გადაუღებლად წვიმდა და მთელი ტრასა ტალახის მასად იყო ქცეული.

რბოლის პირველ დღეს გასავლელი იყო 835 კმ სიგრძის მანძილი კენიის დედაქალაქ ნაირობიდან ქალაქ მომბაზამდე, 14 საკონტროლო პუნქტით და სუპერსპეციალური საკვალიფიკაციო რბოლით 3 კილომეტრზე.

„ლანჩამ“ რბოლაში 3 ეკიპაჟი გამოიყვანა: ბიაზიონ-სივეერო, კანკუნენ-პიირონენი და რეკალდე-კრისტი. სამივე „მარტინი რეისინგის“ ღირსებას იცავს.

სულ, ერთი კვირის განმავლობაში, ავტომრბოლებს უნდა გაევლოთ 4520 კმ.

რალის პირველ ორ დღეს, როცა ლიდერის პოზიცია კვლავ მსოფლიო ჩემპიონს, ესპანელ კარლოს „მატადორ“ საინსს ეკავა, ყველა გუნდი ცდილობდა, როგორმე ხელი შეეშალა აშკარა ფავორიტისთვის.

რბოლის მესამე დღეს მომხდარი შემთხვევა დიდხანს არ დაავიწყდებათ გულშემატკივრებს და თვით პილოტსაც.

მიკი ბიაზიონისთვის „საფარი რალი“ დასრულდა მაშინ, როცა საათში 100 კმ-ზე მეტი სიჩქარით მომბაზა-ნაირობის გზაზე მისი „ლანჩა მარტინი“ სატვირთო ავტომობილს შეეჯახა. საბედნიეროდ, ტრავმა არც ბიაზიონს და არც მის ნავიგატორს, ტიციანო სივიეროს არ მიუღიათ, მაგრამ ავტომობილი ისე დაზიანდა, რომ შესაკეთებლადაც აღარ ვარგოდა.

ამასობაში კარლოს საინსმა კიდევ უფრო განამტკიცა ლიდერის პოზიცია. მისი „ტოიოტა“ წლევანდელ სეზონში მესამე გამარჯვების მოსაპოვებლად მიქროდა, მაგრამ მსოფლიოში ერთ-ერთ უსწრაფეს ავტომობილს ძრავამ უმტყუნა და ესპანელი პილოტი რბოლას გამოეთიშა.

საინსის უახლოესმა მდევარმა, ფინელმა იუჰა კანკუნენმა მეორედან პირველ ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო მის არგენტინელ თანაგუნდელს ხორხე რეკალდეს შვედმა ერიკსონმა („ტოიოტა“) გადაუსწრო.

საბოლოოდ, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ეტაპში გაიმარჯვა „ლანჩას“ ფინურმა ეკიპაჟმა. იუჰა კანკუნენისთვის წარმატებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქულათა რაოდენობით იგი მიუახლოვდა ჩემპიონატის ლიდერს, ესპანელ კარლოს საინსს.

ფინელმა პილოტმა „საფარი რალი“ პირველად 1986 წელს მოიგო.

რბოლის საბოლოო შედეგი: 1. იუჰა კანკუნენი-იუჰა პიირონენი (ფინეთი, „ლანჩა მარტინი“) — 2 საათი, 7 წუთი, 10 წამი; 2. ერიკსონი-ბილსტამი (შვეცია, „ტოიოტა ჩელიკა“) — ჩამორჩა 26 წუთით, 4 წამით; 3. რეკალდე-კრისტი (არგენტინა, „ლანჩა მარტინი“) —39 წუთით, 3 წამით; 4. ვალდეგაარდი-გალაჰერი (შვეცია, „ტოიოტა ჩელიკა“) — 1 საათით, 48 წუთით; 5. დანკენი-უილიამსონი (ავსტრალია, „სუბარუ ლეგასი“) — ჩამორჩა 3 საათით, 22 წამით.

პირადი ჩათვლა: 1. კარლოს საინსი — 40 ქულა; 2. იუჰა კანკუნენი — 38; 3. მასიმო ბიაზიონი — 27; 4-5. კენეტ ერიკსონი, მარკ ალენი — 20-20 ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა: 1. „ტოიოტა“ — 57 ქულა; 2. „ლანჩა“ — 54; 3. „სუბარუ“ — 18.

მსოფლიო ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი გაიმართება 27 აპრილიდან 2 მაისამდე კუნძულ კორსიკაზე.

დავით ჩუბინიძე

„სპორტპროგნოზი“

მე-15 ტირაჟის შედეგები

(12-14 აპრილი)

1—1, 2—X, 3—1, 4—1, 5—X, 6—1, 7—1, 8—2, 9—X, 10—2, 11—2, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. თამაშის გადატანასთან დაკავშირებით „დნეპრისა“ და კიევის „დინამოს“ მატჩის შედეგი განსაზღვრულია წინასწარი კენჭისყრით.

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველოს ხელბურთის ფედერაცია და „ქარიშხალას“ ვეტერანი ხელბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ სამაჩაბლოში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა ხელბურთში საქართველოს ნაკრები გუნდისა და „ქარიშხალას“ ყოფილი წევრი

იგორ (გია) ბუბუტეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„ლელის“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორები: ე. ხომერიკი და მ. ძეძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, 9. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელი“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55
სამდივნო — 98-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54.
„მერანი“ — 98-97-26, „მარჯვე“ — 98-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ეროვნულ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, 9. კოსტავას, 14. ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20